

პაციენტის გვერდი - მოხმარების ინსტრუქცია

პაციენტის გვერდის დანიშნულებაა გაზარდოს მოქალაქის ინფორმირებულობის ხარისხი მისი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებთან დაკავშირებით, უზრუნველყოს პაციენტის უფრო მეტი ინფორმაციული ჩართულობა მკურნალობის პროცესში, მისთვის მეტად გამჭვირვალე გახადოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესები.

პაციენტის გვერდი უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტანას, როგორცაა პაციენტის შესახებ სამედიცინო ჩანაწერები, მასზე გამოწერილი ელექტრონული რეცეპტები (დანიშნულებები), ინფორმაცია რეცეპტების ფარმაცევტულ ქსელში რეალიზაციის შესახებ. ამავე გვერდის საშუალებით პაციენტს საშუალება ეძლევა გაეცნოს ინფორმაციას მის შესახებ განსაკუთრებული მონაცემების დამუშავების შემთხვევების თაობაზე.

პაციენტის რეგისტრაცია

პაციენტის რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატურად, ელექტრონული რეცეპტების ან ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ჩანაწერების სისტემებში ექიმის მიერ პაციენტის თაობაზე პირველივე ჩანაწერის შექმნისას.

პაციენტის რეგისტრაციის შემდეგ მას ენიჭება მომხმარებლის სახელი (მისი პირადი ნომერი) და პაროლი (რომელიც გენერირდება სისტემის მიერ). აღნიშნული ინფორმაციის პაციენტისთვის გაცნობა შესაძლებელია ექიმის მიერ შესაბამისი სამახსოვროს დაბეჭდვის და პაციენტისთვის გადაცემის, ან ამ სამახსოვროს პაციენტის ელექტრონულ ფოსტაზე ან SMS-ს საშუალებით გაგზავნის გზით.

სამახსოვროს სრული ვერსია შემდეგი შინაარსისაა:

თქვენ გეძლევათ მომხმარებლის სახელი (პირადი ნომერი) და პაროლი (მინიჭებული პაროლი) პაციენტის გვერდზე შესასვლელად, რომლის მისამართია patient.moh.gov.ge.

რეკომენდებულია პირველივე შესვლაზე შეცვალოთ პაროლი.

პაციენტის გვერდზე თქვენ შეგიძლიათ იხილოთ თქვენზე გამოწერილი დანიშნულებები (რეცეპტები), დაათვალიეროთ თქვენი ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერები, მიიღოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.


SMS-ს საშუალებით იგზავნება სამახსოვროს მხოლოდ პირველი აბზაცი.

პაციენტის მოდულში შესასვლელად ინტერნეტ ბრაუზერში უნდა აკრიფოთ შემდეგი მისამართი: patient.moh.gov.ge (იხ. სურათი 1).



სურათი 1

პაციენტის გვერდზე შესვლა ასევე შესაძლებელია ელექტრონული რეცეპტების და ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემებიდან, შესაბამის ბმულზე დაკლიკვით (იხ. სურათი 2 წითლად მონიშნული).




სურათი 2

პაციენტის გვერდზე შესვლის შემდეგ სისტემა ითხოვს მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეტანას (იხ.სურათი 3, წითლად მონიშნული).


მომხმარებლის სახელია თქვენი პირადი ნომერი, ხოლო პაროლი წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ სამახსოვროში. რეკომენდებულია პირველივე შესვლის შემდეგ შეცვალოთ პაროლი.

აღნიშნული მონაცემების შეტანის შემდეგ კლავიშა „ავტორიზაცია“ გახსნის მთავარ გვერდს.



სურათი 3

ამავე გვერდზე „დაგავიწყდათ პაროლი“ მონიშვნა საშუალებას გაძლევთ გარკვეული პროცედურების გავლით შეცვალოთ თქვენი პაროლი; კერძოდ, შეგიძლიათ აირჩიოთ საკონტროლო კოდის გაგზავნა მეილზე ან მობილურ ტელეფონზე, შესაბამისად უნდა შეავსოთ ქვედა უჯრა მეილის სახელით ან მობილურის ნომრით (იხ.სურათი 4, წითლად მონიშნული).



სურათი 4

თუ ეს ინფორმაცია ემთხვევა თქვენს პროფაილში მითითებულ ნომრებს, მაშინ გამოვა შემდეგი ფორმა (იხ.სურათი 5, წითლად მონიშნული).




სურათი 5

ავტორიზაციის გავლის შემდეგ გამოდის მთავარი მენიუ (იხ. სურათი 6)



სურათი 6

აღნიშნული მენიუს მარჯვენა ნაწილში ჩანს თქვენი პირადი ნომერი და პერსონალური მონაცემები (იხ.სურათი 6, წითლად მონიშნული). მენიუს ამ ნაწილზე დაკლიკვით გამოდის ქვემენიუ, სადაც შეგიძლიათ დაარედაქტიროთ თქვენი პროფაილი, ანუ შეცვალოთ ელექტრონული ფოსტა და მობილურის ნომერი (იხ. სურათი 7, წითლად მონიშნული).



სურათი 7

პროფაილის რედაქტირების არჩევისას გამოდის ფორმა, სადაც შეგიძლიათ შეცვალოთ ზემოაღნიშნული მონაცემები (იხ. სურათი 8). მონაცემების შეცვლის კლავიშით იმახსოვრებთ რედაქტირებულ მონაცემებს, ხოლო ფორმის მარჯვენა ზედა კუთხეში არსებული ნიშნით "X" უარს ამბობთ ცვლილებებზე (იხ. სურათი 8, წითლად შემოხაზული).

სურათი 8


ამავე ქვემენიუს საშუალებით შეგიძლიათ შეცვალოთ პაროლი (იხ. სურათი 9, წითლად მონიშნული).

სურათი 9

პაროლის შესაცვლელად უნდა შეიტანოთ ძველი პაროლი, ახალი პაროლი, განმეორებითი შეტანით დაადასტუროთ ახალი პაროლი და დააკლილოთ კლავიშას „შეცვლა“ (იხ. სურათი 10)


სურათი 10

ამ ქვემენიუს ბოლო პუნქტია სისტემიდან გამოსვლა (იხ. სურათი 11, წითლად მონიშნული).



სურათი 11

თქვენი სამედიცინო ჩანაწერების დასათვალიერებლად მენიუდან უნდა აირჩიოთ „პაციენტის EHR“, მასზე დაკლიკვით გამოდის „ცხოვრების ანამნეზი“ რომელიც შეიცავს ინფორმაციას თქვენს მიერ გადატანილი დაავადებების, ქირურგიული ჩარევების, სისხლის გადასხმის შემთხვევების, დაფიქსირებული ალერგიებისა და სხვა სამედიცინო ისტორიულ მონაცემებს (იხ. სურათი 12, წითლად მონიშნული). „ცხოვრების ანამნეზი“ შეფერადებულია ყველა ის მონაცემი, რომელიც მიღებულია მკურნალობის ეპიზოდიდან სტატუსით „დაფარული“ (სტატუსებს დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ).



სურათი 12

ამავე მენიუს საშუალებით შესაძლებელია დაათვალიეროთ სისტემაში დაფიქსირებული მკურნალობის ეპიზოდები (იხ. სურათი 13, წითლად მონიშნული). თითოეულ ეპიზოდზე მითითებულია გარკვეული სამედიცინო ინფორმაცია (ეპიზოდის დაწყების და დასრულების თარიღები, დაავადება, მისი მიმდინარეობა, შედეგი, გამოსავალი), მკურნალი ექიმის სახელი და გვარი.

თითოეული ეპიზოდი ხასიათდება სტატუსით; სტატუსი შეიძლება იყოს „ხილული“ ან „დაფარული“. „ხილული“ სტატუსის მქონდე ეპიზოდები ხილვადია სისტემაში ავტორიზებული ექიმების მიერ, ასევე, ამ ეპიზოდის მონაცემები ჩანს ცხოვრების ანამნეზში. „დაფარულ“ სტატუსიანი ეპიზოდები უჩანს მხოლოდ მკურნალ ექიმს და პაციენტს, სხვა პირისთვის (ექიმი) აღნიშნული ეპიზოდი სრულიად დაფარულია.

ID #	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	პროცესი დიაგნოზები - მიმდინარეობს	პოსიტალური სტატუსი	დაავადების გამოსავალი	სტატუსი	ისტორიის ნომერი	ქუჩის ნომერი	ექიმის სახელი გვარი
88307	2019-04-16 07:00	2019-04-24 00:00	კლასი 3 - შუავე; კლასი 3 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
87969	2019-04-15 00:00	2019-04-23 00:00	S00-S09 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	ხილული			გვარი სახელი
86798	2019-04-15 00:00	2019-04-22 00:00	D50-D53 - ქვეშევე; D60-D64 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
81079	2019-04-17 06:00	2019-04-20 00:00	კლასი 4 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	ჩენიბა	დაფარული			გვარი სახელი
80944	2019-04-17 12:00	2019-04-19 14:00	კლასი 7 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	დაფარული			გვარი სახელი

სურათი 13

თითოეულ ეპიზოდზე მაუსის მარჯვენა კლავიშით დაკლიკვისას გამოდის მცირე მენიუ 2 სტრიქონით: „დეტალურად“ და „სტატუსის შეცვლა“ (იხ.სურათი 14, წითლად მონიშნული).

ID #	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	პროცესი დიაგნოზები - მიმდინარეობს	პოსიტალური სტატუსი	დაავადების გამოსავალი	სტატუსი	ისტორიის ნომერი	ქუჩის ნომერი	ექიმის სახელი გვარი
88307	2019-04-16 07:00	2019-04-24 00:00	კლასი 3 - შუავე; კლასი 3 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
87969	2019-04-15 00:00	2019-04-23 00:00	S00-S09 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	ხილული			გვარი სახელი
86798	2019-04-15 00:00	2019-04-22 00:00	D50-D53 - ქვეშევე; D60-D64 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
81079	2019-04-17 06:00	2019-04-20 00:00	კლასი 4 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	ჩენიბა	დაფარული			გვარი სახელი
80944	2019-04-17 12:00	2019-04-19 14:00	კლასი 7 - შუავე;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	დაფარული			გვარი სახელი
80406	2019-04-09 00:00	2019-04-19 16:00	F11 - ქვეშევე; კლასი 3 - ქვეშევე;	დასრულებული მკურნალობა	სტაბილიზაცია	დაფარული			გვარი სახელი

სურათი 14

ქვემენიუში „დეტალურად“ სტრიქონის არჩევისას ბრაუზერში იხსნება ახალი ფანჯარა სახელწოდებით „EHR ეპიზოდი“ (იხ. სურათი 15, წითლად მონიშნული).



სურათი 15


ეკრანზე გამოდის ახალი მენიუ, რომელშიც ავტომატურად მონიშნულია „ცხოვრების ანამნეზი“, შესაბამისად ეკრანზე ჩანს ინფორმაცია თქვენი ცხოვრების ანამნეზის მონაცემებით, რომელიც ზემოთ განვიხილეთ (იხ. სურათი 16, წითლად მონიშნული).

თარიღი	დაავადება (ICD-10)	კლინიკური ვარიანტი	ავადების მდგომარეობა
2019-04-02	კლასი II გენისა და ვაჟოლის მონის დაავადება	თავი	მკურნა
2019-04-24	კლასი 4 უმარცხველი სისხლძარღვებისა და ნაწილობრივი კლინიკური ვარიანტი	სა	მკურნა
2019-04-04	კლასი 7 მონისა და სისხლძარღვების დაავადება და იმერო მტანში მონის მკურნალობა	თავი	მკურნა
2019-04-24	კლასი 7 მონისა და სისხლძარღვების დაავადება და იმერო მტანში მონის მკურნალობა	თავი	მკურნა
2019-04-02	ICD-10 მონის მკურნალობა	კლინიკური	მკურნა
2019-04-02	კლასი 18 მონისა და სისხლძარღვების კლინიკური ვარიანტი და იმერო მტანში მონის მკურნალობა	თავი	მკურნა
2019-04-24	ICD-10 მონის მკურნალობა	კლინიკური	მკურნა

სურათი 16

მენიუს სხვა პუნქტები შეიცავენ არჩეული ეპიზოდის დეტალურ მონაცემებს (იხ. სურათი 17, წითლად მონიშნული).

მაგალითად, როგორც მე-17 სურათზე ჩანს, მენიუს პუნქტს „ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდი“ გამოაქვს მონაცემები ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდში გაწეული მკურნალობის პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ. მენიუს პუნქტების დასახელებას მიწერილი აქვს რაოდენობები, რომლებიც გვიჩვენებენ შესაბამისი ჩანაწერების რაოდენობას.



სურათი 17

მცირე მენიუს მეორე სტრიქონი „სტატუსის ცვლილება“ უზრუნველყოფს პაციენტის მიერ ეპიზოდის სტატუსის მართვას. კერძოდ, ამ ქვეპუნქტით შეგიძლიათ მარტივად შეცვალოთ ეპიზოდის სტატუსი ხილულიდან დაფარულზე ან პირიქით, რითაც დაუბრკოლებლად განახორციელოთ თქვენი უფლება, თქვენი შეხედულებით დაფაროთ ან გაზიარებითი გახადოთ თქვენს შესახებ სამედიცინო ინფორმაცია. მაგალითად, როგორც მე-18 სურათზე ჩანს, ეპიზოდი კოდით 81079 არის დაფარულ სტატუსიანი (იხ. სურათი 18, წითლად მონიშნული).

ID	დაჯდების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირითადი დიაგნოზები - მიმდინარეობა	პოსიტალოზაციის შედეგი	დაავადების გამოსავალი	სტატუსი	ისტორიის ნომერი	ქვიზის ნომერი	ქვიზის სახელი გვარი
88307	2019-04-16 07:00	2019-04-24 00:00	კლასი 3 - შვედე ; კლასი 3 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
87969	2019-04-15 00:00	2019-04-23 00:00	S00-S09 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	ხილული			გვარი სახელი
86798	2019-04-15 00:00	2019-04-22 00:00	D50-D53 - ქვეშევე ; D60-D64 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული			გვარი სახელი
81079	2019-04-17 06:00	2019-04-20 00:00	კლასი 4 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	რემისია	დაფარული			გვარი სახელი
80944	2019-04-17 12:00	2019-04-19 14:00	კლასი 7 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	დაფარული			გვარი სახელი
80408	2019-04-09 16:00	2019-04-19 16:00	F11 - ქვეშევე ; კლასი 3 - ქვეშევე ;	დასრულებული მკურნალობა	სტაბილიზაცია	დაფარული			გვარი სახელი

სურათი 18

ქვემოთხსენიებულ სტატუსის ცვლილების არჩევის შემდეგ გამოდის სტატუსის შეცვლის ფანჯარა (იხ. სურათი 19, წითლად მონიშნული), სადაც მაგალითისთვის არჩეულია სტატუსი ხილული. კლავიშა „დადასტურება“-ით არჩეული სტატუსი მიენიჭება არჩეულ ეპიზოდს.

სტატუსის ცვლილება
X

ეპიზოდის სტატუსი

ოათარული

ხილული

დაფარული

დადასტურება

სურათი 19

ზემოაღნიშნული ქმედებების შედეგი ჩანს 20-ე სურათზე, სადაც ეპიზოდს კოდით 81079 შეეცვალა სტატუსი „ხილულზე“ (იხ. სურათი 20, წითლად მონიშნული).

ID	დაჯდების თარიღი	დასრულების თარიღი	ძირითადი დიაგნოზები - მიმდინარეობა	პოსიტალოზაციის შედეგი	დაავადების გამოსავალი	სტატუსი	ისტორიის ნომერი	ქვიზის ნომერი	ქვიზის სახელი
88307	2019-04-16 07:00	2019-04-24 00:00	კლასი 3 - შვედე ; კლასი 3 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული	2008		გვარი სახ
87969	2019-04-15 00:00	2019-04-23 00:00	S00-S09 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	ხილული	356432		გვარი სახ
86798	2019-04-15 00:00	2019-04-22 00:00	D50-D53 - ქვეშევე ; D60-D64 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გამოჯანბრებულია	ხილული	eer56		გვარი სახ
81079	2019-04-17 06:00	2019-04-20 00:00	კლასი 4 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	რემისია	ხილული	ჩვენ123		გვარი სახ
80944	2019-04-17 12:00	2019-04-19 14:00	კლასი 7 - შვედე ;	დასრულებული მკურნალობა	გაუმჯობესება	დაფარული	კ356789		გვარი სახ

სურათი 20

ეპიზოდზე სტატუსის ცვლილების პროცედურა არ არის შეზღუდული არც რაოდენობრივად და არც დროში.

აღსანიშნავია, რომ პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ყველა ეპიზოდი ავტომატურად ხდება „დაფარული“, ხოლო ავტორიზაციისთვის საჭირო მომხმარებელი უქმდება.

პაციენტის გვერდის მთავარი მენიუს მეორე პუნქტია „დანიშნულებები“, სადაც შეგიძლიათ ნახოთ თქვენზე გამოწერილი დანიშნულებები (როგორც რეცეპტული, ასევე, არარეცეპტული); დანიშნულებების გვერდზე მოცემულია დანიშნულების შექმნის თარიღი, სამკურნალო საშუალების (მედიკამენტის) მახასიათებლები, გამოწერილი და ნარჩენი რაოდენობები; ასევე მითითებულია რეცეპტის აქტივობის სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს ფარმაცევტულ ქსელში რეცეპტის დარეალიზების შესაძლებლობას; რეცეპტულ მედიკამენტს ასევე აქვს რეცეპტის ნომერი; 21-ე სურათზე წითლად მონიშნული მონაცემების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მეორე სტრიქონში წარმოდგენილი მედიკამენტი გამოწერილია 10/07/2019-ში რაოდენობით 20, დარეალიზებული არ არის, ამიტომ ნარჩენ რაოდენობაში მითითებულია 20; აღნიშნულ მედიკამენტს არა აქვს რეცეპტის ნომერი, რადგან ის არ არის რეცეპტული.

შექმნის თარიღი	მედიკამენტი	რაოდ.	კაპსულის ფორმა	შესაძლებელი წინაველება	ფარმაკოლოგიური ჯგუფი	ჩვეუი და გაყვანის რეცეპტი	კვალი	მოდისის წესი	რეცეპტის ნომ.	კვალი	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი
10/07/2019	10% გლუკონის სინლეთი ნიხიზი / Glucosyl aminocidius / 10% 150მლ ა.გ. საიდუმლო ხსნარი ჰქვს კონტაინერში /	30	მოლოდ საგარეო	*	სახლის შავილი და საკურნალო ნარჩენი, სინატიზი პარენტრალური კვებისთვის	II გვეუი, გაიყვანა ფორმა ჩა.3 რეცეპტით	სახელი გაბი		F3E10001484931	09/08/2019	30	აქტიური
10/07/2019	Drotaverine / მინიმა / Drotaverine hydrochloride / 40მგ ტაბლეტი ჩა.150 პოლიპროპილენის ფლაკონში /	20	ტაბლეტი და საგარეო	*	კაპსულის ტიპის უფროსი დარეცეპტის სამკურნალო საშუალება, მათგან ერთი და მისი ნარჩენები	III გვეუი, გაიყვანა რეცეპტით გარეზე	სახელი გაბი				20	
31/05/2019	10% გლუკონის სინლეთი ნიხიზი / Glucosyl aminocidius / 10% 30მლ ა.გ. საიდუმლო ხსნარი ჰქვს კონტაინერში /	10	მოლოდ საგარეო	*	სახლის შავილი და საკურნალო ნარჩენი, სინატიზი პარენტრალური კვებისთვის	II გვეუი, გაიყვანა ფორმა ჩა.3 რეცეპტით	სახელი გაბი		F3E10001372238	10/06/2019	10	კვალი

სურათი 21

მთავარი მენიუს შემდეგი პუნქტი (რეალიზაციის ისტორია) უზრუნველყოფს ფარმაცევტულ დაწესებულებებში მედიკამენტების რეალიზაციის შესახებ ინფორმაციის დათვალიერებას. შესაძლებელია მითითებული თარიღიდან 6 თვის მანძილზე დარეალიზებული ყველა მედიკამენტის ნახვა. ცხრილის მარცხენა ნაწილში თქვენ იხილავთ ინფორმაციას მედიკამენტების რეალიზაციის თაობაზე (რეალიზებული რეცეპტის ნომერი, რეალიზაციის თარიღი, გაცემული მედიკამენტის სავაჭრო დასახელება, გაცემული რაოდენობა, გამცემი ფარმდაწესებულების დასახელება და მისამართი) (იხ.სურათი 22, წითლად მონიშნული).

პაციენტის EHR	დამწმენკები	რეალიზაციის ისტორია	ლოგების ისტორია	კარგის დღეები	დასაბრუნებელი		
პერიოდი: 01/01/2018	დან 6 თვე	გადა					
რეცეპტის ნომერი	გაცემის თარიღი	გამოწერილი შედეგები	გამოწერილი რაოდენობა	რეცეპტის რეალიზაციის რაოდენობა	დამატებული მოცულობის წესი	დარღვევების აღწერა	შენიშვნა
F3E10000383394	2018-06-05 17:44:28	Enalapril Maleate / ბენლაპრილი 10 / Enalapril Maleate / 10მგ ტაბლეტი №30	10	10		სატესტო დარღვევა	სატესტო მონაშრომი
F3E10000383393	2018-06-05 17:38:33	comb. drug / ენაპ-ჩ / Enalapril maleate Hydrochlorothiazide / 10მგ/25მგ ტაბლეტი №20	20	20		სატესტო დარღვევა	სატესტო მონაშრომი
F3E1000009907	2018-05-18 16:23:19	comb. drug / ენაპ-ჩ-20 / Hydrochlorothiazide Enalapril maleate / 20მგ/12.5მგ ტაბლეტი №20 (2X10)	10	10		სატესტო დარღვევა	სატესტო მონაშრომი
F3E1000009906	2018-02-21 17:23:27	Levetiracetam / ლეტვი / Levetiracetam / 250მგ მემორიზირებადი ტაბლეტი №30	5	10		სატესტო დარღვევა	სატესტო მონაშრომი
F3E1000009825	2018-02-05	Enalapril / ბენლაპრილი 5 / Enalapril maleate / 5მგ ტაბლეტი №30	5	5		სატესტო დარღვევა	სატესტო მონაშრომი

სურათი 22

აღნიშნული გვერდის მარჯვენა ნაწილი შეიცავს ინფორმაციას რეალიზებული მედიკამენტის სხვა მონაცემების შესახებ (გამოწერის თარიღი, ვადა, გამოწერილი მედიკამენტის დასახელება, რაოდენობა და ა.შ.)

პაციენტის EHR	დამწმენკები	რეალიზაციის ისტორია	ლოგების ისტორია	კარგის დღეები	დასაბრუნებელი		
პერიოდი: 01/01/2018	დან 6 თვე	გადა					
გამოწერის თარიღი	კარგი	გამოწერილი შედეგები	გამოწერილი რაოდენობა	გამოწერის ფორმა	შეასრულებულია ნაწილობრივად	მოცულობის წესი	დარღვევების აღწერა
2018-06-05 17:27:35	2018-06-30	Enalapril / Enalapril maleate / 1.25მგ/1მგ 1მგ აკ სარეცეპტო მონაშრომი აბლები №5	25	მოლოდ ვერტიკალი	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს
2018-06-05 17:27:35	2018-07-05	comb. drug / ენაპ-ჩ / Enalapril maleate Hydrochlorothiazide / 10მგ/25მგ ტაბლეტი №20	30	ვერტიკალი და სადებიო	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს
2018-02-21 18:58:44	2018-05-23	comb. drug / ენაპ-ჩ-20 / Hydrochlorothiazide Enalapril maleate / 20მგ/12.5მგ ტაბლეტი №20 (2X10)	30	მოლოდ ვერტიკალი	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს
2018-02-21 16:58:44	2018-03-01	Levetiracetam / ლეტვი / Levetiracetam / 500მგ მემორიზირებადი ტაბლეტი №30	20	ვერტიკალი და სადებიო	*	დღის ირგვლივ	გადასრულებულია ნაწილობრივად
2018-02-26 22:42:27	2018-03-07	Enalapril / ბენლაპრილი 5მგ / Enalapril maleate / 5მგ ტაბლეტი №30	30	ვერტიკალი და სადებიო	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს
2018-02-26 22:42:27	2018-03-07	Enalapril / ბენლაპრილი 5მგ / Enalapril maleate / 5მგ ტაბლეტი №30	30	ვერტიკალი და სადებიო	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს
2018-02-26 15:53:59	2018-03-10	Enalapril / Enalapril maleate / 5მგ ტაბლეტი №30	10	მოლოდ ვერტიკალი	*		ჩვენს აპოთეკისთვის სისტემურ მოქმედებებს და მარშრუტებს

სურათი 23

მენიუს შემდეგი პუნქტი (ლოგების ისტორია) საშუალებას იძლევა მიიღოთ ინფორმაცია, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. კერძოდ, ასახულ ფორმაში ჩანს ელექტრონული რეცეპტისა და ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში თქვენს შესახებ არსებული მონაცემების დამუშავების დრო, ამ მონაცემებზე განხორციელებული ქმედების ტიპი და დამუშავებელი პირი (იხ. სურათი 24, წითლად მონიშნული).

ლოგის თარიღი	რეცეპტის ტიპი	მომხმარებლის ენობის	ინფორმაციის დაშვების შემთხვევაში რაოდენობა
2019-07-17	განმარტებული (სტრუქტურული) რეცეპტის ჩართვა - ექიმის	საშუალო გვარი	1
2019-07-17	(87969) განმარტებულ რეცეპტზე ბიულეტენის შედეგის სტატუსის დადგენა - ექიმის	საშუალო გვარი	7
2019-07-17	განმარტების სის დათვალაობა - ექიმის	საშუალო გვარი	2
2019-07-17	(87969) - ბიულეტენის ექიმის დათვალაობა - ექიმის	საშუალო გვარი	1
2019-07-17	განმარტების დათვალაობა - ექიმის	საშუალო გვარი	2
2019-07-16	განმარტების სის დათვალაობა - კარგით		10
2019-07-16	(86798) - ბიულეტენის ექიმის დათვალაობა - კარგით		5

სურათი 24

განვიხილოთ ინფორმაციაზე განხორციელებული ოპერაციის ტიპის რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი: ყოველ ჩანაწერში ჩანს, თუ ვინ დაამუშავა ინფორმაცია (ექიმი, პაციენტი, ავტორი ექიმი), მითითებულია მისი სახელი და გვარი, ასევე დაფიქსირებულია თარიღი და ასეთი შემთხვევების რაოდენობა;

- **განსაკუთრებული (ემერჯენსი) რეჟიმის ჩართვა - ექიმი**

აღნიშნული ჩანაწერი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ განხორციელდა თქვენი მონაცემების განსაკუთრებულ რეჟიმში დათვალიერება, რაც ნიშნავს იმას, რომ ექიმმა საკუთარი პასუხისმგებლობით დაათვალიერა არა მარტო ხილული, არამედ დაფარული ეპიზოდებიც. აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება ექიმს აქვს მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, რომლის შესახებ სათანადო ჩანაწერი უნდა ფიგურირებდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში. აღნიშნული ქმედების მართლზომიერება შეიძლება იყოს განპირობებული პაციენტის ქმედითუუნარობით.

- **(87969) ეპიზოდზე სტატუსი ხილული შეიცვალა სტატუსით დაფარული - ექიმი**

აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს, რომ კონკრეტულ ეპიზოდზე, რომლის უნიკალური ნომერი ფრჩხილებში მითითებულია, შეიცვალა სტატუსი ექიმის მიერ, რაზედაც ექიმს აუცილებლად უნდა ჰქონოდა პაციენტის თანხმობა

- **(87969 - ხილული) ეპიზოდის დეტალური დათვალიერება - ავტორი ექიმი**

რადგან პაციენტის მიერ აღნიშნული ეპიზოდი გაცხადებულია როგორც ხილული, ამიტომ ექიმს აქვს საშუალება დაათვალიეროს ის, თუმცა, ეს ქმედება განპირობებული უნდა იყოს ობიექტური საჭიროებით (პაციენტის მიმართ სამკურნალო ღონიძიებების დაგეგმვის ან ჩატარების მიზნით)

- **ეპიზოდების სიის დათვალიერება - პაციენტი**

აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ პაციენტმა დაათვალიერა თავისი მონაცემები.

- **პაციენტის სამახსოვრო დაიბეჭდა - ექიმი**

აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ ექიმმა დაიბეჭდა პაციენტის სამახსოვრო, სადაც მითითებულია პაციენტის, როგორც ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელი და პაროლი; აღნიშნული ქმედება აუცილებლად უნდა იყოს განპირობებული პაციენტის მოთხოვნით.

- **პაციენტის სამახსოვრო გაიგზავნა SMS - ექიმი**

აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ ექიმმა პაციენტს ელექტრონულად გადაუგზავნა სამახსოვრო, სადაც მითითებულია პაციენტის, როგორც ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელი და პაროლი;

- **(91134) ეპიზოდზე ჩასწორების მოთხოვნა - ექიმი**

ჩანაწერი მიუთითებს, რომ უფლებამოსილი პირის, კერძოდ კი მკურნალი ექიმის მიერ მოხდა ეპიზოდის მონაცემების ჩასწორება. აღნიშნული ქმედება შეიძლება ემსახურებოდეს სამედიცინო ჩანაწერებში აღმოჩენილი შეცდომების გასწორებას, რისი ინიციატორიც შესაძლებელია იყოს როგორც მკურნალი ექიმი, ასევე პაციენტი.

მონაცემებზე განხორციელებული ქმედების სხვა ტიპები ასევე აღწერენ ქმედების შინაარსს და ავტორს. მთავარი მენიუს შემდეგი პუნქტი „დახმარება“ შეიცავს წინამდებარე სახელმძღვანელოს, ასევე შესაძლებელია ფიგურირებდეს სიახლეების აღმწერი დოკუმენტიც, რომელთა ჩამოტვირთა შესაძლებელია 25-ე სურათზე მონიშნული სიმბოლოს საშუალებით.

სიახლეები 03.05.2019	
სახელმძღვანელო 03.05.2019	
ხშირად დასმული კითხვები 03.05.2019	

სურათი 25